№ 84

პარასკევი, 2 მაისი 1897 წ.

1877 — 1897

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| ხ . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 84

პარასკევი, 2 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სათავად-აზნაურო სადვილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **მორიგი საზოგადო კრება** ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა იქნება **ამა წლის 20 მაისს დილის 10 საათზე,** ქართველ თავად-აზნაურობის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ტფილისში.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება მთავრობის მიერ მომხდარ რევიზიის ანგარიშის გამო.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1896 წლის ანგარიშისა.

3) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებულის ფული, რომელიც საანგარიშო წლის მოგებითგან უნდა გადაიდოს საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულს თანხაში.

5) მოხსენება იმის შესახებ, რომ სესხი იქმნას გაცემული გირავნობის ფურცლების ვენახების გირაოზედ.

6) მოხსენება ბანკის წევრთა საზოგადო კრების წესის შეცვლის შესახებ.

7) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წინადადებულ მამულების დაფასების წესდების შესახებ.

8) წინადადება ბანკის 49 და ცალკე 60 წევრისა, კრედიტი გაიაფებულ იქმნას იმითი, რომ შემცირდეს სარგებელი, რომელიც ერთმევათ მოგირავნეთ ბანკის მართვა-გამგეობისა და სხვა ხარჯისათვის, რაოდენობა სავადო გარდასახადის დროზედ შეუტანლობის ჯარიმისა და განცხადებათა დაბეჭდვის ხარჯისა, და

9) არჩევანი თანამდებობის მქონეთა, ნაცვლად ზედამხედველ კომიტეტის წევრთა უგანათლებულესის თავადის პ. ა. გრუზინსკისა, თავ. რ. დ. ერისთავისა, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისა, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, თავ. ლ. გ. ჯანდიერისა, თავ. დ. ა. გურამიშვილისა, თავ. ვ. მ. თუმანოვისა, ა. ი. კობიაშვილისა, ა. ი. ყიფიანისა და გ. დ. ჟურულის; ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა; დამფასებელ კომისიის წევრის კ. ლ. ფურცელაძისა და გამგეობის წევრთა ორის კანდიდატისა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა და თავ. ა. რ. ვახვახიშვილისა, რომელნიც რიგით ანებებენ სამსახურს თავს.

ამასთან ერთად ზედამხედველი კომიტეტი აცნობებს ბ-ნთ ბანკის წევრთ, რომ იმათგან რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობისა 1897 წლის 10 მაისს შემდეგ აღარ მიიღება. ამ რწმუნების ქაღალდების მიღება მოისპობა 10 დღით ადრე საზოგადო კრების დაწყებამდე.

(3—ნ.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: ზორჩნალოს მაზრის უფროსს, ნადვორნი სოვეტნიკს თავ. სუმბათაშვილს—კოლლეჟსკი სოვეტნიკობა; დუშეთის მაზრის ბადალეთის პოლიციის ბოქაულს, ტიტულიარნი სოვეტნიკს ჭონქაძეს და ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილის ბოქაულს თავ. თუმანიშვილს—კოლლეჟსკი ასსესორობა; გუბერნსკი სეკრეტარებს საგუბერნიო მმართველობის საქმეთა მწარმოებლის თანაშემწეს თავ. თუმანოვს, იმავე მართველობის მოხელეს სარაჯიშვილს და ახალ ქალაქის სამაზრო პოლიციის მოხელეს ბარნიშვილს—კოლლეჟსკი სეკრეტრობა; ტფილისის ქალაქის პოლიციის მოხელეს კოლლეჟსკი რეგისტრატორს ვაშაძეს—გუბერნსკი სეკრეტრობა, და სიღნაღის სამაზრო პოლიციის საკანცელარიო მოხელეს ტყავაძეს—კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ბეითალ შიო დედაბრიშვილისათვის დაუვალებია—ყველა საქონელი, რომელსაც ზაქათალის ოლქიდგან ერეკებიან საზაფხულო საძოვარზე და რომელმაც ტფილისის მაზრა უნდა გამოვლოს, სიღნაღის მაზრაში, იორის ხიდთან გასინჯოს. („ნოვ. ობოზ.“).

*** ჩვენი ქალაქის გამგეობას 29 აპრილს დაუდგენია—სთხოვოს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, — რათა გუბერნიის მართველობის საქალაქო კრებულს შემდეგი საგნები წარუდგინოს გარდასაწყვეტად: 1) 18 მაისს ქალაქის არჩევანებზედ დასასწრებელი ბარათი მიეცეს, თუ არა, იმ ობოლთა მამულის მზრუნველთა, რომელი ობოლნიც მამულის პატრონად აღიარებულნი არ არიან და მამულის გარდაცვლილი მეპატრონეა საარჩევანო ნუსხაში ჩაწერილი; 2) მიეცეს თუ არა დასასწრებელი ბარათი მამულის გარდაცვლილ პატრონის სრულ-წლოვან მემკვიდრეთ, თუკი ეს უკანასკნელნი, სანამ საარჩევანო ნუსხა გამოცხადდებოდა, მამულის პატრონად არიან დამტკიცებულნი, მაგრამ ქალაქის გამგეობის წიგნებში ეს მამული ისევ წინანდელ მეპატრონის სახელობაზე სწერია, რადგან მემკვიდრეებმა თავისს დროზედ საჭირო საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგინეს გამგეობას; 3) მიეცეს თუ არა, დასასწრებელი ბარათები მამულის ნამდვილ პატრონთ, თუ მამული გარდაცვლილ პატრონის სახელობაზედ სწერია და მემკვიდრე მამულის მეპატრონედ აღიარებული არ არის; და 4) მიეცეს თუ არა დასასწრებელი ბარათი იმ ობოლთა მზრუნველთ, რომელნიც მამულის მეპატრონედ დამტკიცებულნი არიან, მაგრამ საარჩევანო ნუსხაში მამულის მეპატრონედ გარდაცვლილი მეპატრონენი სწერიან, ანუ მათნი ნათესავნი.

*** ოთხშაბათს, 29 აპრილს, იჯარით გაიცა სახელმწიფო თევზის საჭერი ადგილები მდ. მტკვრისა ქ. ბაქოში. ამათში ბანკოვსკისა და ბოჟი-პრომისლის სათევზაო ადგილები დარჩათ ძველ მეიჯარადრებს ი. ე. ფითოევს და ამხ. შემდეგ ფასად: ბანკოვსკისა 652,300 მ. და ბოჟი-პრომისლისა 91,300 მ.

*** მარიამობისთვის ნახევარში ქ. პეტერბურგს დანიშნულია მე-VII სესია საერთაშორისო საარქეოლოგიო კონგრესსი. კონგრესს აზრადა აქვს მოგზაურობა კავკასიაში შემდეგის წეს-რიგით: ერთი დასი მოსკოვიდგან პირდაპირ კავკასიის სამკურნალო წყლებზედ წამოვა და შემდეგ ჩავა გროზნოში ნავთის ადგილების დასათვალიერებლად; მეორე დასი წამოვა ნიჟნი-ნოვგოროდში, ჩამოვა ცარიცინს მდ. ვოლგით და შემდეგ კავკავში; მესამე დასი-კი კიევში, დნეპრით ჩერკასში და შემდეგ კავკავში. ენკენისთვის ნახევარს ყველა ეს დასები თავს მოიყრიან ტფილისში. დაათვალიერებენ ნავთის წყაროებს ბაქოსა, ბორჯომსა და ბათუმის მიდამოებში და შემდეგ გაემგზავრებიან ყირიმში.

*** ტფილისში პოლიციის მოხელეთა სიმცირე ყველასათვის საგრძნობელი უნდა იყოს, რადგან ქალაქში 160 ათასი მცხოვრები ითვლება და ამოდენა ქალაქის მცხოვრებთა უზრუნველ საყოფად სულ 10 ბოქაული და ამოდენივე თანაშემწე ბოქაულებისა, 52 პოლიციის მოხელე, 300 პოლიციელი და 100 საპოლიციო სადარაჯო, ე. ი. 1,600 მცხოვრებელის კვალობაზედ თითო სადარაჯოა გამართული. რიცხვი პოლიციის მოხელეთა დიდგენილია 70 წლებიდგან, როდესაც ქალაქში 78 ათასი მცხოვრები ითვლებოდა, დღეს-კი ქალაქი გადიდდა ძ მოხელეთა რიცხვი-კი ისევ იმოდენაა. ამ ექვსის წლის წინად ტფილისის პოლიცმეისტერმა მასტიცკიმ თავისს მოხსენებაში, რომელიც ბ-ნს გუბერნატორს წარუდგინა, სწერდა, რომ საჭიროა ქურდებისა და ჯიბგირების ასალაგმავად პოლიციის მოხელეთა გამრავლება და ქალაქში სისუფთავის დასაცველად ქუჩის მგვლელების მომატებაო და სხ. გუბერნატორმა მოიწონა პროექტი და გადასცა ქალაქის გამგეობას სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ ქალაქმა ვერ განახორციელა პროექტი უფულობისა გამო. სასურველია, რომ ეხლა მაინც მიექცეს ამ ნაკლს ჩვენის ქალაქისას ყურადღება.

*** კახეთში ბლეკროტის აღმოჩენამ შიში დაჰბადა—ვაი თუ ეს საშინელი სენი კავკასიის სხვა ვენახებშიაც იყოსო. ამისათვის საუფლისწულო მამულთა მთავარ სამართველოს სამიწად-მოქმედო სამინისტროსთან ერთად გარდაუწყვეტია, რათა მიმდინარე წელს კავკასიის საუფლისწულო ყველა ვენახი გულსმოდგინედ იქმნას გასინჯული.

*** 29 აპრილს ბავშვებისათვის მზრუნველ განზრახულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთ კრება ჰქონდათ. კრებამ საზოგადოების წესდების პროექტი განიხილა და დაამტკიცა. ხსენებული პროექტი 7 მაისამდე მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სადგურში იქმნება, რათა მსურველმა ხელი მოაწეროს. შემდეგ-კი პროექტის შემდგენელი კამისიის თავმჯდომარე ბ-ნი ა. მ. კოლუბიაკინი განიხილავს ვინ ჩაეწერა წევრად და 10 მაისს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს წარუდგენს განსახილველად და უმაღლესს მთავრობასთან დასამტკიცებლად წარსადგენად.

*** სამიწადმოქმედო სამინისტროს უცნობებია კავკასიის საფილოქსერო კამიტეტისათვის, რომ ფილოქსერასთან საბრძოლველად და დაავადმყოფებულ ვენახების საექიმოდ წელს მხოლოდ 104 ათასი მან. გადადებულიო. თუ ეს ფული საკმარისი არ იქმნება სამუშაო გეგმის შესასრულებლად, კამიტეტმა მუშაობის ახალი გეგმა უნდა წარუდგინოს სამინისტროს.

ამერიკულ ვაზის გასავრცელებლად 41,000 მან. გადადებული. კამიტეტის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საქარის სანერგეში სხვა-და-სხვა შენობის ასაგებად 10,000 მან. მოგვეცითო, სამინისტრომ არ შეიწყნარა. მაგრამ რადგან ამ შენობათა აგება სამინისტროს სასურველად მიაჩნია, კამიტეტს ნება დართო, რათა ამ საქმეს ყველა ის ფული მოხმარდეს, რამდენიც მიმდინარე წელს ფილოქსერასთან საბრძოლველად გადადებულს ფულს გადარჩება და აგრეთვე იმ საქმისთვისვე წინად გადადებულ ფულიდგან 6,701 მან. 50 კაპ. („ნოვ. ობოზ.“).

*** საჭირო და სასარგებლო ფრინველთა გასავრცელებლად კავკასიაში „ფრინველთა მოშენების საზოგადოების“ კავკასიის განყოფილებას განუზრახავს გამოფენის გამართვა მუშტაიდში 15—20 მაისის რიცხვებში, რომელიც 3—5 დღეს გასტანს. ჯილდოს მისცემენ საუკეთესო ჯიშის ფრინველის გამომფენს. გამოფენისათვის გამართული იქნება შვიდი განყოფილება: 1. შინაური ფრინველები: ქათმები, ინდოურები, იხვები, ბატები და გედები; 2. მტრედები: საფოსტოთ გამოსადეგნი, ლამაზნი და სწრაფად მომფრინავნი; 3. ლამაზი მგალობელი ფრინველები და სანადირონი, როგორც მაგალითად კაკაბი, თურაჯი და სხვანი; 4. სურათები ფრინველებისა, ატლასები, მთელი კოლლექცია ბუდეებისა, კვერცხებისა, ბუმბულისა, ფრთებისა და სხვა; 5. სხვა-და-სხვა იარაღები საჭირო ფრინველთა კვებისათვის, გამოჩეკისათვის, დაჭერისითვის და აქეთ-იქით გადასატან-გადმოსატანად, საჭირო მავთულები, კალათები, ყუთები და მოდელები ფრინველთა სადგურებისა; 6. საექიმო და საკვებავი მასალა ფრინველებისათვის; 7. შინ გამოკვებული (ცოცხალი და დაკლული) შინაური ფრინველი. გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა მიჰმართონ განყოფილების მდივანს დ. პ. ანთროპოვს სააბრეშუმო სადგურში, რომელსაც უნდა გამოუცხადონ თუ რა ჯიშის ფრინველს გამოჰფენენ და რამდენი ადგილია ამისთვის საჭირო ამა თუ იმ გამოფენის განყოფილებაში.

*** როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგია, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი საერო განათლების მინისტრთან შუამდგომლობს, რათა მიმდინარე 1897 წლიდგან ხალხის განათლებისათვის ზედმეტი ფული იქმნას გადადებული: 55,000 მან. ერთბაშად და 39,965 მან. ყოველ წლივ; გარდა ამისა ყოველ წლივ 12,000 მან. იმ სოფლების დასახმარებლად, სადაც სასწავლებელია გამართული, მაგრამ მათ შენახვას იქაური მკვიდრნი სიღარიბისა გამო სავსებით ვერ ახერხებენ.

*** 1 მაისს, დილის 6 საათზე, სიღნაღელ ბაღდასარა ოსიპოვის თევზეულობის დუქნიდგან, მე-8 ნაწილში, ჩითახოვის სახლებში, დახლიდგან ამოუღიათ 30 მ. და გაქცეულან. ქურდები შესულან შიგნითა კარებიდგან, და ხლის კლიტე გაუტეხნიათ და ისე ამოუღიათ ფული. ბოროტ-მოქმედთ პოლიცია დაეძებს.

30 აპრილს, ღამის 10 საათზედ, მჭედლების ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მოქალაქეს დავით სოსიას მე მაისურაძეს მიხაილ ფარუჯანოვთან. მაისურაძემ ჩხუბის დროს დანით დასჭრა მუცელში ორ ადგას ფარუჯანოვი და გაიქცა, მაგრამ შეპყრობილ იქმნა ბაზრის ქუჩაზედ. გამოძიება სწარმოებს.

*** 30 აპრილს მე 9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ლევან არჩვაძემ, რომ 25 აპრილს ღამე ოთახიდგან მოპარეს: 3 ჩოხა, 3 ახალუხი, ხანჯალი ვერცხლით მოჭედილი, დანა, ხმალი ვერცხლით მოჭედილი და ვერცხლის მასრები, მთლად 200 მან. ღირებული. ეჭვი არავისზედ არა მაქვსო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

*** 30 აპრილს ღამე, პატარა ორბელიანის ქუჩაზე, თ. ფავლენიშვილის სახლებში უცებ გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე ასლან იაგორის მე ოქრო-

გეი. მიცვალებულის გვამი მაშინვე მიხეილის სასანტოდმიო განყოფილებაში გაგზავნეს შესამოწმებლად.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ხ. საგარეჯო.** არ იქნა, ჩვენს სოფელს გაუმჯობესობა ვერ შეეტყო, გარშემო ყველა პატარა სოფლები ისეა დასუფთავებული, რომ მეტი აღარ შეიძლება, მაგრამ ამ ჩვენს სოფელს-კი ყურიც არ გაუბერტყია, თუმცა ზმანება ზმანებაზედ მოსდით, სუფთად შეინახეთ ეზო-ყურეო. აი, ეხლაც მოვიდა ზმანება, სახლი დაიქირავეთ ავადმყოფებისათვის, იქნება ჭირი გაჩნდესო. თვით სანიტარების ეზო-კალოებზედ ისეც-ისე ხელ-უხლებელია რამდენისამე წლის საქონლის პატივი და სახლ გარის ნაგავი. ეს მოხელეები რომ ასე მშიდ არიან, სხვები რაღა ყურს გაიბერტყენ?

ურიგო არ იქნება აგრეთვე, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს როგორც ამას, აგრეთვე გალობის სოფელ-გარეთ გატანას. ეს არც ძნელია ამ სოფლისათვის, რადგანაც სოფელს ერთის ვერსის მოშორებით ბორცვზედ მშვენიერი სავალოე ადგილები აქვს. ამათი მინდორსაც დაუახლოვდებიან და სოფელიც სუფთად იქნება. ეხლა-კი მგათათვეს ამ სოფელში გაცს არ გავლება, ბზის მტვრით უნდა დაიხრჩოს.

16-ს აქ თოვა დაიწყო და 17-ს დილამდე სულ თოვდა; არამც თუ გარშემო მთები დათოვდა, თვით სოფელშიაც ჩარექზედ დადო თოვლი, თუმცა მალე გადნა, მაგრამ ხეხილი სულ გააფუჭა. თოვლის შემდეგ დაიწყო განუწყვეტელი წვიმები, თან ხორხოში, დაც ყურია და რაც თოვლმა დააკლო, ამან შეუსრულა. მადლობა ღმერთს 25 აპრილიდგან გამოიდარა. პურის მოსავალს პირი არ უჩანს, რადგანაც ჯერ თაგვმა გაანაგა შემოდგომაზედვე და ეხლა გაზაფხულზედ ქარმა აიღო.

გულ-დამწვარი

## ურბნისის დიდებული ტაძარი და მისი განახლება.

თუ ქვეყანაზედ, ანუ სწავლულთა და მეცნიერთა მეხსიერებაში კიდევ იხსენება სოფელი ურბნისი, ამის მიზეზი მისი წარსულია. განსაკუთრებით სამი ისტორიული გარემოება ჰყოფს ამ სოფელს უკვდავად. სახელდობრ ის, რომ ეს ეხლა პატარა და სიღარიბით დაჩაგრული სოფელი ქრისტეს წინად დიდებული ქალაქი ყოფილა მკვიდრთა სიმრავლითა და დიდის ალებ-მიცემობით; მე-IV საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ქართველთა განმანათლებელს წმიდა ქალწულს ნინოს, და მაშვრალს მოგზაურობით, ამ კერპთა ქალაქის ერთ უბანში გაუტარებია ღამე, რის სახსოვრადაც იმ ადგილას ეკლესია აუგიათ იმისს სახელობაზედ, რომლის ნანგრევებიც დღეს კიდევ ეტყობა, და, დასასრულ, ქართველთა მეფეთა და დიდებულთა ყურადღება ჰქონია ამ ქალაქს დამსახურებული. ამის მოწამეა დღეს დიდებული ურბნისის ტაძარი წმიდა მოციქულის და პირველ მოწამის სტეფანეს სახელობაზედ აგებული. ამ ტაძარს ეს მეფენი და დიდებულნი უხვად სწირავდნენ მთასა და ბარსა, ყმასა და განძსა და მათნი დედოფალნი და ასულნიც არა ჰზოგავდნენ თვისს ხელოვნებასა მისის სამკაულთა გასაბრწყინვებლად.

დრონი იცვალნენ. ეს ტაძარი კათედრა ურბნელთა ეპისკოპოსთა დღესსამრევლო ეკკლესია-ღაა. მისი სიმშვენიერე, მისი სიმდიდრე გაანადგურა ჟამთა სვლამ და დღეს და შეგვრჩენია მხოლოდ ჩონჩხი იმა დიდებულის ტაძრისა და ისიც ჩონჩხი დაძაბუნებული, შერყეული. ერთი ახირებული ზამთარი, ანუ ჟინიანი შემოდგომა სრული საკმარისია, რომ ალგაოს ქვეყნისაგან ეს ნაშთი სიძველისა, ეს სასოება ურბნელთა. რომ მივიღოთ მხედველობაში მისი მხცოვანება და ჰირისუფალთა გულ-გრილობა, ეს საკვირველიც არ არის. პ. იოსელიანის აზრით, მისი აღშენება ეკუთვნის ბაქარს—მეფე მირიანის ძეს—მე-IV საუკუნეში. მე-VII საუკუნეში აქ უკვე საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა, სადაც ურბნელობდა წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე აქვე წამებული. მე-VII საუკუნეში იგი ტაძარი ქალაქ ურბნისთან ერთად განადგურებულა და მხოლოდ მე VIII ანუ მე-IX საუკუნეში განუახლებიათ. უკანასკნელი განახლება ეკუთვნის მარიამ დედოფალს როსტომ მეფის (მაჰმადიანის) მეუღლეს მე XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ქორონიკონსა ტნვ-სა, როგორც ტაძრის კედლის ერთის ქვის წარწერა მოგვითხრობს) და, როგორც ზოგნი სამართლიანად ფიქრობენ. სტილი ხუროთ-მოძღვრებისა იგივეა დაცული, როგორც უწინ ყოფილა. მას შემდეგ ამ ტაძრისათვის აღარავის უზრუნია, არავითარიმე შეკეთება აღარ ჰღირსებია მას, და ამისათვის საკვირველი ის კი არ არის, რომ დღეს ტაძარი საშიშს სურათს წარმოადგენს, რომ მთლად წვიმის გამო იგი დაცხავებულია, ანუ რომ ერთმა კედელმა უკვე დაიწყო ნგრევა—აქ საკვირველი მხოლოდ ის არის, რატომ აქამდის მთლად არ დაინგრა და არ მოისპო მისი სახსენებელი. ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყვნეთ იმისი, რომ მარტო ღვთის განგებამ იზრუნა 250 წელიწადზედ მეტი და კიდევ ამ დრომდის მოაღწევინა იმ სახით, რომ შიგ წირვა-ლოცვა, თუმცა სიფრთხილით, მაინც შესაძლოა.

ასე და ამ ნაირად ურბნისის ტაძრის მდგომარეობა სამწუხაროა. ეს გარემოება უკვე მოხსენდა ჯეროვანს მთავრობას, რომელმაც განსაკუთრებით ყურადღებაც მიაქცია ამ საქმეს. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის განკარგულებით უკვე შესდგა განმაახლებელი კომიტეტი ამ ტაძრისა. კომიტეტის შედგენამდის ადგილობრივმა მღვდელმა ადგილობრივის ბლაღოჩინის მ. ი. იონაშვილის დახმარებით და ითანხმა მრევლი ურბნისის საზოგადოებისა ამ ტაძრის შემწეობაზედ და განაჩენიც არის შემდგარი. მაგრამ ის წვლილი, რომელსაც სოფელი შეძლებისა და კვალობაზე სწირავს ამ საქმეს, ძალიან მცირეა. შესაკეთებელი, გადასაახლებელი ბევრი, ძალიან ბევრია და ამისათვის კომიტეტი, ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის ნებართვით, უმორჩილესის თხოვნით მიჰმართავს ყველა ქველ-მოქმედს, ყველა მართლ-მადიდებელს ქრისტიანს, ვისაც ეს საქმე მარტო ურბნელ ღარიბის გლეხის საქმედ არ მიაჩნიათ და ვისაც მამა-პაპათა ნაშთი უღირს რამე—დაგვეხმარნენ ფულით, რომ კომიტეტმა იმდენი საშუალება მაინც მოიპოვოს, თუ ვერ განაბრწყინვებს შეიმაგროს და დაიცვას მაინც ეს წმ. ნაშთი.

წევრი ურბნისის ტაძრის განმაახლებელის კომიტეტისა მღვდელი სეით გამრეკელი

## წერილი ახალციხიდგან

15 აპრილი

ძველი ანუ ნამდვილი ახალციხე, სადაც ქართველობა სცხოვრობს, ციხის ზემოდ მთაზეა გაშენებული და უფრო-კი დაბასა ჰგავს. ახალი ახალციხე ახლად არის სომხებით დასახლებული (1830) მდ. ოცხეს მარჯვნივ მთის ფართო კალთაზედ. კავკასიის სამაზრო ქალაქთა შორის სიდიდითა და სიმდიდრით ახალციხე საუკეთესო (ევროპიულ) ქალაქად ითვლება, სადაც 25 ათასი მცხოვრებია, რომელთა შორის 80% მეტი არზრუმიდგან გადმოსული სომხობაა. პირველშივე სომხობას გაცალკევება სდომებიათ: რუსის მთავრობისთვის უთხოვიათ ახალციხე-კი არა, „ნოვი“-არზრუმი უწოდეთ ჩვენს ქალაქსაო. მთავრობამ ამის ნება არ დართო და მას აქეთ ახალი ახალციხე მამინაცვლად გაუხდა თავისს ობოლ გერს—ძველს ახალციხეს. აქედგან ადვილად წარმოსადგენია, დღეს ვინცა ჰბატონობს ახალციხეში, ქალაქს მხოლოდ სახელი-ღა დარჩა ქართული, თორემ დანარჩენში კი მართლაც რომ ნოვი-არზრუმია. აქ აშკარაა ახალციხელ მკვიდრ ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობა ბევრის მხრივ არის შელახული, შეგინებული და ის ძველი ანდაზა: „მესხი მოვიდა, მკვიდრი აჰყარაო“ ისტორიულმა ვითარებამ დიდი ხანია ასე შესცვალა: „სომეხი მოვიდა მესხი აჰყარაო“.

დიაღ, ძველი ქალაქი (ახალციხე) მეტად დაღვრემილი, მიწის ფრად გამოიყურება, სულ არ ეტყობა, რომ გარეგნობით მაინც მოსცხებოდეს ევროპიული კულტურა და, რაღა თქმა უნდა, მეტად სასიამოვნო და სანუგეშო იყო ჩემთვის, როდესაც ამ ალიზიან სახლებში ერთი ოთახი ვიპოვე, სადაც ევროპიულ სწავლა-განათლების სხივს პაწია ნაპერწკალი ჩაუგდია. მე მოგახსენებთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახალციხეში დაარსებულ სახალხო ბიბლიოთეკას, რომელიც აგერ მეორე წელიწადია, რაც ჰმოქმედობს. დავრწმუნდი რა ამ სამკითხველოს სარგებლობას, ის-ღა დამრჩა საკითხავი: ნუ თუ არ შეეძლო ხსენებულ საზოგადოებას ამ ათიოდე წლის წინად ეთავა ეს საქმე? მაგრამ ისიც-კია, ვინ იცოდა თუ ეს დაწესებულება ამისთანა კეთილს ნაყოფს გამოიღებდა.

წარმოიდგინეთ, აქაურ ქართველობას რა რიგ სწყურებია და სჭირებია გონებრივი საზრდო. აი რამდენჯერ მისულან სხვა და-სხვანი წიგნების საკითხავად:

სამკითხველოს დაარსების დღიდგან (27 მარიამობისთვე 1895 წ.) წლის დამლევამდე, ე. ი. ოთხს თვეში . . . 2253 ჯერ

96 წ. მთელის წლის განმავლობაში . 3510 „

ამ 97 წლის სამს თვეში . . 1160 „

ხოლო სახლში საკითხავად დაარსებიდგან დღემდე 280 კაცს წაუღიათ წიგნები.

უფრო თხოულობენ ყაზბეგის, ილ. ჭავჭავაძის და აკაკის თხზულებებს. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავისის ხარჯით უგზავნის ქართულ ყველა გამოცემებს და აგრეთვე „Нов. Обозр.“ და „Кавказъ“-ს, „Будьте Здоровы“ „Недѣля“ და სხვ. შემოუწირავთ ამ წლ-ს „Живоп. Обоз.“ ბ-ნ მაისურაძეს და „Черномор. Вѣстн.“ ბ-ნ ალელოვს. რუსული წიგნები საკმაოდა აქვთ და ბევრსაც კითხულობენ.

საზოგადოდ, თუმცა ქართული წიგნები ბევრია, მაგრამ ყველა წიგნი არ მოიპოვება. ამასთანავე, ჩემის აზრით, ის თხზულებანი, რომელთაც ხალხი უფრო ეტანება, საჭიროა რამდენიმე ცალად იყოს სამკითხველოში. თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ვერ გასწვდენია, იმედია კერძო კაცნი იკისრებენ დახმარებას და მით განამტკიცებენ ახალციხის ქართველთა კულტურის საძირკველს. დიაღ, ბატონებო, ჩვენი მეზობლები გვიკიჟინებენ: „Вы вымирающій народъ, а мы должны занять ваше мѣсто“-ო და აბა, სხვა რით დავუმტკიცებთ მთელს ქვეყანას, რომ მოსპობის, სიკვდილის გზას არ ვადგევართ, თუ არ იმით, რომ განათლების ხმლითა და ფარით ვებრძოლოთ ჩვენ დაუძინებელს მტერს—სიღათას ძილს და დაუდევრობას!

ახალციხის ქართველი საზოგადოება ჯერ ხომ დიდი მადლობელია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და მერე გრიგოლ ევსევის ძის ბურჭულაძესი, რომელიც ძალიან ერთგულად იღწვის წიგნთ-საცავის წარმატებისთვის; აგრეთვე დიდნი მადლობელნი არიან სეფე-ქალის კონსტანცია სვიმონის ასულის მეფისაშვილისა, რომელიც სამაგალითოდ განაგებს წიგნთ-საცავის საქმეს.

—

აქვე, ძველს ქალაქში (ახალციხე) ვნახე ჩვენი დაუღალავი მუშაკი ვინმე მესხი (მამა იოანე გვარამაძე), რომელსაც ვსთხოვე გაეცნო ჩემთვის მთელი მისი ლიტერატურული ნაშრომ-ნაღვაწი. მამა იოანეს აქვს ნათარგმნი და დასტამბული: 1) გზა ცხოვრებისა; 2) წინამძღვარი ზეცისა; 3) კაცებრივი სიბრძნე; 4) ფილოსოფია (მოკლე) და 5) ფრანციზული სახელმძღვანელო. დაუსტამბავი ნათარგმნი: 1) წინააღმდეგ ატეისტებისა და პროტესტანტებისა სევგიურ ეპისკოპოსისა; 2) გამამტყუნებელი მოძღვრება ლოტრანგების და კალვინისტებისა; 3) აღსარებისთვის და ქადაგება ქრისტეს ვნებისა და 4) ფრანგულ-სომხურ თათრული ლექსიკონი 1871 წ. დაბეჭდილი ვენაში პარიჟის აკადემიკოსების სახმარად. ეს ლექსიკონი ეხლა იბეჭდება ქართულ-რუსულის დამატებით, რომლისთვის პატრ სიმონიძეს უშრომია*). ორიგინალური თხზულებანი: 1) რიტორიკა; 2) გვირგვინი წამებულთა—წმ. ესტაქი ლექსად დაწერილი (მოკლე 1,000 მუხლი). ამ თხზულებას მერე კიდევ მიუმატეთ და გახდა 1,300 მუხლი. ეს შევსებული ჯერ დაუბეჭდავიაო, მაგრამ უკვე დაცენზურებული არისო; და 3) ყვავილის კონა. ამასთანავე აქვს ხელ-ნაწერები: 1) წარყვნა (დაცენზურებული იონიკი ესზარხოსისაგან). ჩვენმა მგოსანმა დამიკარგაო, ვეფხვის ტყაოსანზე დიდი იყო, ორი ათასი გალექსილი მუხლი ჰქონდაო ოთხ-ოთხ ტაეპით. აგრეთვე უკვე დაბეჭდილი აქვს ქართლის ცხოვრება და ერთიც ახალი ხელ-ნაწერი მაჩვენა—„საეკლესიო ისტორიული წყაროები“, უკვე 214 გვერდია დაწერილი.

*) ვერ დავიხსომე, ამ ლექსიკონში რა შრომა მიუძღვის მამა იოანეს.

მამა იოანე სწორეთ იმ ხელითა სწერს, როგორც ჩვენი წმ. მამები სწერდნენ საღმრთო წიგნებს და ამისთანა მჭიდრო წმინდა ხელით დაწერილი ექმნება ათი ათასი გვერდზედ მეტი! ვიფიქრე, ვიფიქრე და ამ დასკვნას დავადექ: ამ პატიოსან მუშაკს მომზადება რო ჰქონოდა და ამდენი (ათი ათასი გვერდი!) დაეწერა ახლანდელ მოთხოვნილების შესაფერი წიგნები, მართლად, რომ დიდს საუნჯეს შესძენდა ჩვენს ქართულს ლიტერატურას. დიდად დაგვავალებს მამა იოანე, რომ ამის შემდეგ დანარჩენი თავის ძალა მოახმაროს თავისის სამშობლოს მესხეთის წარსულ ისტორიის აღწერას, ხალხში დარჩენილ გარდმონაცემ წყაროებიდგან და არა წიგნებიდგან. ამითი დაუვიწყარ სამარადისო ძეგლს დაუდგამს მამა იოანე თავისს სახელს ქართულს ლიტერატურაში.

ილ. ალხაზიშვილი

## გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ სარევიზიო კამისიის წევრებს.

ორს თებერვალს ამა წლისას მორიგი კრება იყო ქ. ოზურგეთში გურიის ამხანაგობისა. ამ კრებაზედ აირჩიეს სარევიზიო კამისია, რომლებსაც დაავალეს გაესინჯათ წარსულ 1896 წლის ანგარიში და წარმოედგინათ ამხანაგობის წევრებისათვის, ახალს არა-ჩვეულებრივს კრებაზედ. ეს დრო თითქმის გავიდა და ჯერაც არ ვიცით, შეამოწმეს ანგარიში თუ არა? საჭირო იყო ეს ანგარიში დროზედ გაეგო საზოგადოებას, თორემ ცოტა არ იყოს ცუდი ხმებია გავრცელებული წარსულ წლის მოქმედების შესახებ და ეს გარემოება შეაფერხებს წელს აბრეშუმის ვაჭრობას, რადგანაც გული საგულეს არა აქვთ მას შემდეგ, რაც ერთმანეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

ვთხოვთ სარევიზიო კამისიის წევრებს, გაგვაგებინონ, მოახდინეს ანგარიში, თუ არა. თუ მოახდინეს, როგორი ნაყოფი მოუტანია ამხანაგობისათვის წარსულის წლის პარკის ვაჭრობას და რა მოგება უნახავთ. როგორ წაუყვანია საქმე გამგეობას და სხვა, რაც-კი საჭიროა ანგარიშისთვის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ პარკის ვაჭრობის დრო ახლოვდება და საზოგადოებამ არ იცის, როგორ მიდის ამხანაგობის საქმე. ბევრს ისე ჰგონიათ, რომ წელს არ ექნება შეძლება ამხანაგობას ვაჭრობა გამართოს, რადგანაც ყველა შეძლებულნი წევრნი ჩამოეცალნენ მას შემდეგ, რაც ოზურგეთსა და ლანჩხუთს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდაო.

ი. გოგიჩაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საყურადღებო წერილია დაბეჭდილი გაზ. „ახ. მიმოხ.“ ში ქუთაისიდგან. კორესპონდენტის სიტყვით,

„სასჯულო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა თურმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს, განიხილეთ და განსაჯეთ რაოდენად შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში ხალხს ნება მიეცეს მართლ-მსაჯულების საქმის გამღოლაშიო. სამინისტრომ ამასთანავე წარმოგზავნა მზა პროექტიც, რომლიდაც ცხრედ წოდებულ შეფფენის სასამართლოსთან უნდა დაარსდეს, ე. ი. სამართალში მონაწილეობის მიღების ნება უნდა მიეცეთ არჩეულ წარმომადგენლებს სხვა-და-სხვა წოდებისას, რომელთაც განათლებისა და ქონებრივი ცენზი უნდა ჰქონდეთ და რომელთაც მთავრობის მიერ დანიშნულ მოსამართლეებთან ერთად უნდა გადასწყვიტონ როგორც ის, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ისე ის, თუ რა სასჯელი უნდა გადაეწყვიტოს.

ამ პროექტის განსახილველად ბევრნი მიუწვევია ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს როგორც იურისტები, ისე არა იურისტნიც 26 აპრილსა და მათ სჯა ჰქონიათ. სამინისტროს პროექტში ნათქვამია, რომ განათლების ცენზი 6 კლასი უნდა იყოსო. კრების უმეტესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ გიმნაზიის ექვსი კლასი ძალიან ბევრია ცენზისათვის, საკმაო რიცხვს ასე მომზადებულ კაცებისას ვერ ვიპოვითო, ზოგიერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ოთხ კლასიანობაც ვაკმაროთ, თუმცა ბევრნი ამასაც ჰბევრობდნენ. ზოგიერთთ განაცხადეს თურმე, რომ ასეთ ცენზად მარტო რუსულის ენის ცოდნაც საკმარისიაო. მაინც და მაინც საბოლოოდ არა დაუდგენიათ-რა, რადგან მომზადებულნი არა ყოფილან, და სხვა დროისათვის გადაუდვიათ სამინისტროს წინადადების განხილვა.

ფრიად საინტერესო წინადადება უეჭველია ტფილისის სასამართლოსაც მოუვიდოდა და საყურადღებოა ვიცოდეთ, აქ რადა მდგომარეობაშია ეს საქმე?..

* * *

გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი პაწია წერილი:

ამ ბოლო დროს სასანიტარო კამისიამ მეტად გულ-მოდგინეთ დაიწყო სიარული პოლიციის მე-10 ნაწილში ეზოების დასათვალიერებლად-კი არა, არამედ ეგრედ წოდებულ „დვორცოვი ნომრების“ დასის მიერ შედგენილ საარჩევნო სიების გასავრცელებლად; მეორე დასიკი, რომელიც მედიდურად ოპოზიციის დასს ემახის თავის თავს, ამომრჩეველთა სიებს ჩარჩების სკლით ატარებს, მკვლს ტანისამოსს რომ ყიდულობენ ქუხა-ქუხა.

## რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეუდგეს ეხლანდელ სადამოჟნო წესდების განხილვას.

— 1898 წელს მაისში შესრულდება 50 წელი მას აქეთ, რაც ვ. გ. ბელინსკი გარდაიცვალა. ამის გამო პენზას გიმნაზიის დირექტორი ა. ე. სოლოვიოვი სწერს ადგილობრივ გაზეთში, საჭიროა ჯეროვანი პატივი ვცეთ ამ სახელოვანს მწერალს, რომელიც პენზას გუბერნიაში დაიბადა და აქაურ გიმნაზიაში დაამთავრა სწავლაო. გიმნაზიის საბჭოს ასი მანათი გადაუდვია ამ საქმისათვის. თავის მხრივ, ა. ე. სოლოვიოვი ამბობს, რომ კარგი იქნება გიმნაზიის მახლობლად ბაღში ვ. გ. ბელინსკის ძეგლი დაიდგასო.

— სტავროპოლის გუბერნიის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებლებ კალმიკებს მიუმართავთ მთავრობისათვის და უთხოვნიათ, ნება მოგვეცით დავაარსოთ სოფლებში ოთხი სასოფლო სკოლა და ერთიც ორ-კლასიანი სასწავლებელი, დაბა ბაშონტაში. ამასთანავე მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ სკოლებისა და სასწავლებლისთვის შენობათა ასაგებად და მოსაწყობათ ჩვენ თითონ გამოვიღებთ 10,900 მანათს და გარდა ამისა სკოლების შესანახ ხარჯს ყოველ წლივ 2,940 მანათსაო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და სიამოვნებით მოიწონა კალმიკების ამ გვარი კეთილ-განძრახვა.

— სენატორი ა. თ. კონი სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრად აურჩევიათ.

— „რუსეთის ხილეულობის საზოგადოებას“ დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სადამოჟნო გარდასახადი არ გამოერთვას იმ იარაღს, რომელიც საჭიროა ხილისა და ყურძნისაგან სხვა-და-სხვა ნაწარმოების მოსამზადებლად და აგრეთვე შემცირდეს ხილისა და ყურძნის არაყის გადასატანი ხარჯი.

— როგორც უკანასკნელ ხალხთა აღწერიდგანა სჩანს, რუსეთის მთელს იმპერიაში 130 მილიონამდე მცხოვრებელი ყოფილა.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** ახალის სამინისტროს შედგენის შემდეგ საბერძნეთის პარლამენტს პირველი კრება 19 აპრილს ჰქონია. პარლამენტის სადგური ხალხით სავსე ყოფილა და პარლამენტის შენობასთანაც აუარებელი ხალხი შეკრებილა. როცა მინისტრებმა თავიანთი ადგილი დაიჭირეს, მინისტრ-პრეზიდენტი რალი წამოდგა და კრებას შემდეგი მოახსენა: მთავრობის უმთავრესს საზრუნავს საგანს მხედრობის გაძლიერება შეადგენს, ურომლისოდ არც ომის განგრძობა შეიძლება და არც ზავის ჩამოგდება ჩვენდა სასარგებლოდო. საბედნიეროდ, ჩვენს მხედველობას, რომელიც უკეთესის ბედის ღირსი იყო, სიმხნევე არ დაუკარგავს: მისი იმედი მუდამ უნდა გვქონდესო. მთავრობა საუმჯობესოდა სთვლის, რათა პალატის კრებები დროებით შეჩერებულ იქმნასო. რალიმ პალატასა და ხალხს სთხოვა, მთავრობას მხარი მიეცით და ზურგი გაუმაგრეთო. მინისტრ-პრეზიდენტს დელიანისმა უპასუხა: პალატა საჭიროდ არა ჰრაცხს, თვისი სურვილი ხმის ჩამოტარებით გამოსთქვას; პალატის კრებების შეწყვეტის წინააღმდეგი ერთიც არავინ არისო. ჩემი დასი მთავრობას ყველაფერში მხარს დაუჭერს, სანამ ჩვენი სამშობლოს ერთი ხელის გულის სიფართე ადგილიც-კი ოსმალეთის ხელში იქმნებაო. ბატონიშვილები ბრძოლის ველიდგან გამოწვეულ უნდა იქმნენ; ტახტის მემკვიდრე ძლიერ დაქანცულიაო. (მოწონების ხმა ისმის). პაპამიხალოპულომა სთქვა, რომ მე გაკვირვებული ვარ, ჩვენი ფლოტი რად არის ასე გაჩერებული და არა ჰმოქმედებსო. რალის წინადადება, რომ პალატის კრებები შეწყვეტილ იქმნესო, პალატამ ერთ-ხმად შეიწყნარა. დელიანისი რალის მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა. ბევრგან ასეთის საქციელის მოწონების ხმა გაისმა; კრება დაიშალა.

— საბერძნეთის მთავარ მინისტრს რალის საბერძნეთისავე წარჩინებულთათვის თავ-გამოდებით დაუწყია მტკიცება, რომ ლარისასთან ჩვენის დამარცხების ბრალი მხოლოდ მთავარ შტაბის უფროსს ედებაო. ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი კონსტანტინე იმას ენდო: ასე ეგონა, რომ იგი გამოცდილი და შორსმჭვრეტი კაციაო. ბატონიშვილებმაო, უთქვამს რალის, თავისი მოვალეობა სავსებით შეასრულეს; იმათ თავი გადადებილი ჰქონდათ და ხშირად განსაცდელშიაც ვარდებოდნენო. ყველაზედ უპირველეს ამ ჟამად საჭიროა, რომ ყოველსავე იმას ხელი შეუშალოთ და წინააღმდეგობა გავუწიოთ, რაც-კი, ცოტაც არის, კანონიერ მეფის სახლობისა და მონარქიულ წეს-წყობილების წინააღმდეგ იქმნება მიმართულიო.

— როგორც უკვე ვიცით, საბერძნეთის მთავრობის ბრძანებით, პოლკოვნიკი ვასოსი კრიტიდგან საბერძნეთში წავიდა. უკანასკნელად მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ საბერძნეთი დიდ სახელმწიფოთა სურვილს ეთანხმება: კრიტზე, დროებით მაინც არის, ხელს იღებს, იქ მყოფი თავისი ჯარი უკანვე უნდა გაიხმოს და თანხმაა—კრიტში თვით-მართველობა დამყარდეს. გაზეთები ჰფიქრობენ, რომ თუ საბერძნეთმა კრიტი დასტოვა, ადვილად შესაძლებელია, ეპირის რამდენისამე ნაწილის მითვისება მოიწადინოსო. ათინაში კიდეც იმედოვნებენო, მოგვითხრობენ გაზეთები, რომ თუ ამ გზას დავადექით, ევროპის დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთ შორის უთანხმოება მოუვათ, ზოგი რა გზას დაადგება და ზოგი რასა; ევროპის კონცერტი ისევ განსაცდელში ჩავარდება; ამასთანავე ევროპის მკვიდრთა შორის ჩვენდამო თანაგრძნობა ხელ-მეორედ აღიძვრის და შეიძლება სურვილს მივაღწიოთო.

— როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, საბერძნეთის მთავრობას უკანასკნელი 25,000 სათადარიგო ჯარის კაციც მიუწვევია და ამასთანავე 2,000 თავის ნებით მსურველთაგან ცალკე რაზმი შეუდგენია. მთავრობამ ეს რაზმი ეპირში უნდა გაჰგზავნოს. რაზმს უფროსობს პოლკოვნიკი ბაცარისი. ამავე რაზმს წინ მიუძღვის ახალგაზდა ქალიშვილი—ბერძნების ჟანა დაარკი.

როგორც ჰფიქრობენ, რალის აზრად აქვს—ფლოტიც უფრო გულ-მოდგინედ ამოქმედოს. ხმა დადის, ვითომც აღმოსავლეთ ესკადრის უფროს სტამატელოსათვის რალის ბრძანება მიეცეს, რომ 5000 კაცით, რომელიც გემებზედ გყავს, არხიპელაგის კუნძულებს თავს დაესხიო. მეორეს მხრივ იმასაც ამბობენ, რომ ამ კუნძულებს საბერძნეთის ფლოტი თავს არ დაესხმის, რადგან კუნძულებზედ მცხოვრები ბერძნები საბერძნეთის მთავრობასა სთხოვენ—ჩვენ კუნძულებს ნუ შეეხებით, თორემ ოსმალები ჩვენზედ იყრიან ჯავრს და ცუდს დღეს დაგვაყენებენო.

—

**საფრანგეთი.** ელინთა ეროვნულს მოძრაობას დიდად თანაუგრძნობს საფრანგეთის ერი. შეიძლება ითქვას, რომ ისე გულწრფელად არსად არ თანაუგრძნობენ ბერძნებს, როგორც საფრანგეთში. გაზ. „Мір. отгол“-ის კორესპოდენტს უკითხავს ამას წინად საფრანგეთის ერთ გამოჩენილ მოღვაწისთვის—რითი აიხსნება, რომ ფრანგები ასე თანაუგრძნობენ ბერძნებსაო? ასეთი მოვლენა არავის არ უნდა გაუკვირდესო, უპასუხნია კორესპონდენტისათვის მოსაუბრეს, თუ შემდეგ გარემოებას გავიხსენებთო: სმფრანგეთ გერმანიის უკანასკნელ ომის დროს (1870—71 წ.), როცა გერმანელებმა ისე სასტიკად დაგვამარცხეს, ევროპის ყველა ხელმწიფენი გამარჯვებას ულოცავდნენ გერმანიის მეფე ვილჰელმს; მაშინ ნამდვილი მეგობრობა დაგვიმტკიცეს მხოლოდ ბერძნებმა, რომელნიც ჩვენის დროშის ქვეშ ჩვენთან ერთად იბრძოდნენო. საფრანგეთის ქალაქებში რამდენიმე მილიონი უცხოელნი სცხოვრობდნენ, როგორც ამ ჟამად, რომელთაც ჩვენში მილიონები შეიძინესო. არც ერთმა იმათგანმა იმ გაჭირვების დროს ერთი გროშიც არ გამოიმეტა ჩვენთვის მაშინ, როდესაც ბერძნებმა მთელი რაზმები გამოაწყეს თავისის ხარჯით და ბრძოლის ველზედ გამოჰგზავნესო. ყოველსავე ამას საფრანგეთის ერი არასოდეს არ დაივიწყებს და ეცდება—სამაგიერო სამსახური გაუწიოს საბერძნეთს, რასაც დღესაც ვხედავთო.

— პირიზში ჟურნალისტთა კამიტეტი დაარსებულა საბერძნეთის დასახმარებლად. ამ საქმეში ყველა პარტიის წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას: მონარქიელები, რადიკალები, სოციალისტები და სხ. მრავალ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორებს, დირექტორებს და თანამშრომლებს ამ დღეებში კრება ჰქონიათ, რომელსაც ცნობილი როშფორი თავმჯდომარეობდა. ფრანსუა კოპესა და ქალბატონ ადანს კრებისთვის წერილი გაუგზავნიათ და ბოდიში მოუხდიათ, რომ კრებას ვერ დაესწრნენ. კრებას სხვათა შორის დაუდგენია, რომ პროვინციების მწერალთაც ვთხოვოთ,—ამ საქმეში დაგვეხმარონო. კრებაზედ ბევრს მხურვალე სიტყვები წარმოუთქვამს და ყველას ის აზრი გამოუთქვამს, რომ თითოეული ფრანგი, რომელსაც ელზას-ლორენის საფრანგეთისთვის დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს, მოვალეა, არა მარტო დაუმტკიცოს ბერძნებს, რომ იგი გულ-მხურვალედ თანაუგრძნობს იმათ, არამედ გულ-მოდგინედ უნდა ეცადოს, რათა საფრანგეთის ერმა ნამდვილი დახმარება აღმოუჩინოს საბერძნეთსაო.

კამიტეტის თავმჯდომარედ როშფორი იქმნა არჩეული. ხოლო წევრებად—კასანიაკი, დრიუმონი და დე-კეროგინი.

—

**ინგლისი.** პეტერბურგის გაზეთები ეჭვის თვალით უცქერიან ინგლისს. ამბობენ, რომ ინგლისს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი—ევროპის კანცერტი დაარღვიოს, სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოაგდოს და აღმოსავლეთის აწეწილი საქმეები თავისს სასარგებლოდ გამოიყენოსო. ხსენებული გაზეთები თავისს მოსაზრებას დასავლეთ ევროპის გაზეთების ცნობებზედ ამყარებენ. გაზეთების სიტყვით, თუ რომელიმე სახელმწიფომ საბერძნეთ-ოსმალეთის წყლებში თავისი ფლოტი გააძლიერა, ინგლისიც მაშინვე ლევანტის ესკადრის გასაძლიერებლად ახალს გემებს გაჰგზავნის. როგორც ამბობენ, სწორედ ამ აზრით ნავარდობს ლამანშის ესკადრა ისპანიის ნაპირების მახლობლად და ყოველ წუთს მზად არის, როცა ბრძანება მიუვა, მალტისა და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ წავიდეს. ინგლისის ზღვათა გამგეობასა და ხმელთა შუა ზღვის ·ესკადრის უფროსებთა შორის ხშირი მიწერ-მოწერაა გამართული, ერთი მეორეს ყოველ ამბავს დეპეშით აცნობებენ. ამასთანავე ესკადრას ნაბძანები აქვს, რა წამს სახელმწიფოთა შორის ცოტაოდნად უთანხმოების ნიშანი ჰღმოჩნდება, ზემოაღნიშნულ ადგილებისაკენ წავიდეს, რათა შეძლება ჰქონდეს, დარდანელსა და სუეცის არხების შესასვლელ კარებს უკედ ადევნოს თვალ-ყური. გიბრალტარის დაცვა-კი მხოლოდ ლამანშის ესკადრას ექმნება მინდობილი. ინგლისის მთავრობას ამასთანავე აზრად აქვს, ახალი მსწრაფლ მავალი ესკადრა გამოაწყოს და აგრეთვე მეწამულს ზღვაში ინდოეთის ოკეანეს ესკადრას მოუწოდოს. მალტაზე ინგლისს მთელის კორპუსის საკმარისი მასალები აქვს დამზადებული და საზოგადოდ ისე აქვს თავდარიგი დაჭერილი, რომ 35,000 კაცი ამ საჭიროებისათვის მუდამ მზად ჰყავდეს.

—

**ოსმალეთი.** როგორც ერთ გერმანულ გაზეთს აუწყებენ, გერმანიის კონსულისათვის ამბავი მიუტანიათ სალონიკში, რომ ბერძნების ორს ყავახანაში გერმანიის იმპერატორის სურათს შეურაცხება მიაყენეს—საშინლად დაასახიჩრეს იგიო, კონსულს ეს გარემოება მაშინვე გენერალ-გუბერნატორ რიზა—ფაშისათვის უცნობებია და უთხოვნია—ეს საქმე ფიცხლავ გამოძიეთ და დამნაშავენი სასტიკად დასაჯეთო. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ სურათი მართლაც დაუსახჩირებიათ, რის გამოც ყავახანის პატრონები და სხვებიც, ვისაც ამ დანაშაულობაში წილი ედოთ, დაუტუსაღებიათ და ყავახანები-კი დაუკეტიათ.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

18 აპრილი.

ბრძოლის ველიდგან ყოველ დღე ბერძნებისათვის სამწუხარო ამბები მოდის. დღევანდელმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ქალაქი ტრიკალა აუღიათ. გუშინ, 17 აპრილს, შესულა ქალაქში ოსმალეთის ჯარი გენერალ-ადიუტანტ ჰაირ-ფაშას წინამძღოლო-

ბით. ათინაში არეულობა არის. დელიანისის სამინისტრო დაეცა და იმის ადგილას რალის ჰნიშნავენო. საბერძნეთის მეფე გიორგი და დელიანისი არ ეთანხმებოდნენ ომის გამოცხადებაზე, რალი-კი ომის მომხრეთა მოთავე იყო. ეხლა რაკი უფროს მინისტრად რალი დაინიშნა, ომი დიდხანს გასტანს. ასეა თუ ისე ბერძნები განსაცდელში ჩავარდნენ, იმედი არ გაუმართლდათ, აქეთ იქიდგან მოსულ ვოლონტიორებისაგან ვერა ისარგებლეს-რა, ბერძნები დღითიდღე უკან იწევენ. როგორც აშკარავდება, საბერძნეთს ევროპის იმედი ჰქონია და ევროპა კი არამც თუ არ ეხმარება, პირიქით ეწინააღმდეგება და ნებას არ აძლევს თავისუფლად იმოქმედოს ზღვაში. სალონიკისა, იზმირისა (სმირნა), კავალის, დედე-ალაჯის და კარა-ალაჯის დაჭერა ადვილად შეეძლოთ ბერძნებს, რომ ევროპის სახელმწიფოებს ნება მიეცათ, რადგან საბერძნეთის ფლოტი ბევრად სჯობს ოსმალეთისას.

ჯერ კიდევ არავის არა სწამს ოსმალეთის გამარჯვება, თუ იმარჯვებენ, ოსმალეთის ჯარის სიმრავლეა მიზეზიო. ყოველთვის ოსმალეთის ჯარი სჭარბობდა ომის დროს საბერძნეთისას და მაინც დიდი ზიანი მოსდიოდათ. მაინცა და მაინც ოსმალეთს დიდი ვაჟკაცობა არ გამოუჩენია, დაპყრობილი ადგილები სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრს არ აღემატება, რადგან ოსმალეთის საზღვრიდგან ქალაქი ლარისსა ოცის ვერსის სიშორეზეა. ასევე ტირნავოსი და ტრიკალა. ბერძნის ჯარი თუმცა უკან იწევს, მაგრამ მწყობრად, და ცოტა დანაკლისით, შეიძლება საომარის მოსაზრებით. პირველი შეტაკებები უეჭველი საბუთია იმისი, რომ სწორ ძალის შეტაკების დროს ბერძნები სჯობნიან, ორმოცის ვერსის სიშორეზე შემოვიდნენ ზოგან ოსმალეთის საზღვრებში ბერძნები, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრეს, რადგან ისედაც ცოტა ჯარი ბერძნებისა მცირდება და ოსმალებს-კი ყოველ წუთში ახალი ჯარი ემატებათ. ჯერ ეხლაც, როცა დაჭერილი ადგილები გასწმინდეს ბერძნებისაგან და დასწიეს უკან ბერძნები, მაინც ჯარსა თხოულობენ კიდევ დეპეშებით.

ტყუილია ის ხმები, რომ ბერძნებმა იმედი დაჰკარგესო, ისინი ჯერ ისევ დიდს მზადებაში არიან და სჯერათ, რომ ბოლოს დროს ომის ძლევა-მოსილობა ჩვენ დაგვრჩებაო. ეხლა ბერძნების ძალ-ღონე საჭირო ფულის მოპოვებაზეა მიქცეული, რომ საჭირო სურსათი მზად გვქონდეს და ომი დიდის ხნით განვაგრძოთო, რადგან ოსმალეთს ამოდენა ჯარის შენახვა გაუჭირდებაო. ჯერ მარტო აღმოსავლეთ რუმელიაში სამი ათასი ჯარი უყენია ოსმალეთს და ამდენივეა სხვა ადგილებშიაც. რაც შეეხება ზღვაზედ ომს, ბერძნები დარწმუნებული არიან, რომ გავიმარჯვებთ, თუ ევროპის სახელმწიფოებმა გაგვიშვესო.

იასე რაჭველი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ძლიერ ბევრი კაცი დარწმუნებულია, რომ თავის გაკრეჭა თმას გაუხშირებსო. ჰამბურგის მკურნალი კლაზენი ამტკიცებს, რომ ეს ტყუილია, რადგანაც ადამიანის თმის გახშირება ყოვლად შეუძლებელია. თითოეულ ადამიანს იმდენი თმა აქვს თავზედ, რამდენიც თავის კანში თმის პარკია და გამრავლება და გახშირება თმისა ისევე შეუძლებელია, როგორც, მაგალითად, ფრჩხილების გამრავლება. ეტყობა ამ მკურნალს ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ შესაძლებელია, ერთს კაცს თმიანი კანი ამოსჭრან თავზედ და მეორეს მიაკერონ. ერთს ამერიკელს მკურნალს ამ გვარად მოურჩენია ერთი მელოტი კაცი. შესაძლებელია იმ დროსაც მოვესწრათ, რომ სწორედ ამ გვარად გაუკეთებენ თმას მელოტს კაცსა: აიღებენ, მაგალითად, მკვდარს კაცს, თმიანს კანს მოსჭრიან თავიდგან და მელოტს გაუკეთებენ. ისიც შესაძლებელია, რომ მდიდარმა მელოტმა კაცმა ღარიბ კაცისაგან თმიანი კანი იყიდოს თავისა და თითონ გაიკეთოს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. რადა ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ თავის გაკრეჭა თმას ახშირებს? ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ გძელი და მოკლე თმა ერთგვარის სისწრაფითა და სიჩქარით არ იზრდება. ორთა შუა რიცხვით თავზედ ადამიანის თმის სიგრძე არ აღემატება $1^1/_2$ არშინს. ამ სიგრძისა თმა 4—6 წელიწადში გაიზდება, მერე ჩამოვარდება და თმის ალაგას ეხლა ახალი იზდება. ახალი თმა ჯერ ჩქარა იზრდება, მერე უფრო მძიმედ. შეიძლებელია ითქვას, რომ თმა მით უფრო ჩქარა იზრდება, რაც უფრო მოკლეა და რაც უფრო გრძელია, — ნელა. აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთსა ჰგონია, ხშირად თავის გაკრეჭა თმას გაახშირებსო.

**

ადამიანის სხეულის სუფთად შენახვა რომ მეტად საჭიროა ჯანმრთელობისათვის, რა თქმა უნდა, ყველას კარგად მოეხსენება, თუმცა ყველანი კი არა ჰფიქრობენ და არა ზრუნავენ ამ სისუფთავეზედ. განსაკუთრებით საჭიროა კაცმა სუფთად შეინახოს ხელები და აი რათა: ხელის კანი მუდამ დაფარულია ქონით და ამიტომ ადვილად ეკიდება ყოველ გვარი ჭუჭყი, რომელსაც მარტო საპნით დაბანვა გადაიყვანს ხოლმე. ძლიერ კარგია აგრედვე 5%-ნი კარბოლის სიმჟავე. ეს სიმჟავე რომ თბილ წყალში გაურიოთ და საპნით ხელი გადიბანოთ, ყოველგვარ ჭუჭყს ძლიერ მალე გამოიყვანს. ექიმები-კი უფრო ფრთხილად იქცევიან. ავადმყოფს რომ გასინჯავენ ხოლმე, მერე სპირტ ნარევ წყალით იბანენ ხელებს. ამ შემთხვევაში ცალიერი სპირტი არ ვარგა, რადგანაც ხელის კანს აფუჭებს და ამიტომ ხელის დაბანა უკეთესია არყით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მაისი

**პეტერბურგი.** უმთავრესნი მოგებანი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ბილეთების მე-15 ტირაჟისა:

200,000: 13,884/40; 75,000: 4848/43; 40,000: 14832/43; 25,000: 801/42; 10,000: 1040/31, 506/1, 11104/39; 8,000: 12543/17, 12653/21, 12746/23, 12781/47, 1438/45; 5,000: 8923/23, 5036/18, 10932/40, 3845/20, 7716/25, 11682/1, 15492/35, 12641/27; 1,000: 1730/20, 74/12, 2518/42, 9206/29, 3137/6, 22830/24, 2638/32, 7328/40, 15175/41, 7540/16, 5106/37, 15337/45, 13201/41, 6364/16, 6405/19, 1979/21, 11443/7, 2024/17, 13503/10, 7438/34.

**ბერლინი.** ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინისა თავისის შვილით პრინც პავლეთი წავიდა პეტერბურგს, რათა აცნობოს ხელმწიფე იმპერატორს ამბავი რეგენტის დანიშვნისა.

**ათინა.** დასავლეთის ესკადრამ ორშაბათს ზარბაზნები დაუშინა სიკიოს.

დომაკოსთანა და ალვიროსთან არავითარი ბრძოლა არ მომხდარა. ლამიიდგან მოსულ დეპეშიდგან სჩანს, რომ ჯარი მხნედ არის. დომოკოსთან ოსმალეთის ჯარი არა სჩანს.

ორშაბათს არტაში მიწა იძვრა; მისწის-ძვრამ 30 წუთს გასტანა.

ჰფიქრობენ, რომ ეპირში ომი გათავდაო.

**დომოკოსი.** 28 აპრილს მტრის თავს-დასხმას მოელოდნენ, მაგრამ ოსმალნი ჯერ არსადა სჩანან.

საერთო სურვილი მშვიდობიანობისა თან-და თან ძლიერდება და ამ სურვილს არა ჰფარავენ. ამიტომ, ვიდრე ეს სურვილი სუფევს, მხნედ განგრძობა ომისა შეუძლებელია.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მხრივ პირობები ჯერ საბოლოოდ არ არის დადგენილი, მაგრამ ოსმალეთის დიდებულთა სიტყვით, მორიგების უმთავრესი მუხლები უნდა იყოს: საზღვარი საბერძნეთის ფლოტის მიერ სახელმწიფო და კერძო ქონების დაზარალებისა გამო; სამხედრო მოსაზრებისა გამო საზღაურების შესცვლა ზოგიერთ ადგილებში; განხილვა წესდებისა იმ საგანგებო უფლებათა შესახებ, რომელიც აქამდე ჰქონდათ ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებს. დიპლომატებს იმედი არა აქვთ, რომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება მალე გათავდეს და ჰფიქრობენ კიდეც, ორთავე მხრიდგან სხვა და სხვა დაბრკოლება აღმოჩნდებაო.

რადგანაც ოსმალეთის ჯარმა სატევი ომი დაიწყო, ეპირში მყოფმა საბერძნეთის ჯარმა არტისაკენ დაიწია და მიატოვა 2,000 თოფი, 300 ყუთი ტყვია-წამალი, 1 სამთო ზარბაზანი. ბერძნების მხრივ მოკლულ იქმნა 72 კაცი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობასა უცხადებთ სად. სუფსას იმ მცხოვრებელთ, რომელთაც ჩვენ მიერ განზრახულ მომავალ უფასო სახალხო სამკითხველოს ს. ჯურუყვეთისას შემწეობა აღმოუჩინეს, სახელდობრ: თ. ჯამბაკურ, ვახტანგ, ტელემაკ და ვარდენ გურიელმა თხუთმეტ-თხუთმეტი მან., ს. ბოლქვაძემ, ვ. ჩიქოვანმა სამ-სამი მან., ხ. სალუქვაძემ 2 მან., ბ. კობახიძემ, ივ. თავართქილაძემ, მ. ფარეიშვილმა, ნ. გრიგოლიამ, წყალწმინდელმა, ნ. ტუსკიამ, კ. თოფურიამ, ს. ქარცივაძემ, კ. ხომერიკმა, ალ. ჩხაიძემ, ფ. გიორგაძემ, იო. მეგრელაძემ, ე. ჭანიშვილმა, პ. ჯიჯიეიშვილმა, მ. გორდელაძემ, კ. გორდელაძემ, პ. სიხარულიძემ, კირ. ხაფთასმა თითო მან., მიხ. აგაიანცმა, ვლ. გორდელაძემ, გ. გორდელაძემ, — ათ-ათი შაური სულ 87 მ. 50 კაპ.

იმედია სხვანიც მიჰბაძავენ ამათს მაგალითს და აღმოგვიჩენენ შემწეობას ფულად თუ წიგნებით.

ადრესი: Ст. Джуматы. ხოლო ამანათები უნდა იგზავნებოდეს შემდეგის ადრესით: Ст. Ланчхуты. ჩვენს სახელობაზედ.

{ დიმიტრი გიგინეიშვილი
მოსე გიგინეიშვილი


# განცხადებანი

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად „საზოგადოების“ წესდების მე-12 § ის, კვირას, 27 აპრილს დილის 12 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა. (5—უ—


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.
1 აპრილს, 1897 წლისას.
(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | 4666 | 11 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 191 | — |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 4100 | — |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 120950 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 164 | 34 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 1107—70; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3113—— | 4220 | 70 |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 3552 | 91 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | 193 | 46 |
| IX. | მოწყობა მომართვა | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 21 | — |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები | 250 | — |
| XII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| | სულ | 140544 | 07 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 552 წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 61623 | — |
| II. | სათადარიგო თანხა | 63 | 86 |
| III. | შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 11605—02; ბ) ვადით 17870——; გ) უვადოდ 20000—— | 49475 | 02 |
| IV. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 3087 | 92 |
| V. | გარდასაცემი თანხა | 3330 | 34 |
| VI. | გარდასახდელი სარგებელი | 388 | 98 |
| VII. | გადაგირავება თამასუქებისა | 22575 | — |
| VIII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 95 |
| | სულ | 140544 | 07 |
| | პასუხის-მგებლობა 552 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 554598 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3600 | — |

(1—8)